# საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი

## ბრძანება №871

თბილისი „05“ 11 2013 წ.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ხელშეწყობის

პროგრამის დამტკიცების შესახებ

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ შესახებ საქართველოს კანონის 61-ე მუხლის, „საქართველოს 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის, „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2004 წლის 21 მაისის №37 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „მ“ ქვეპუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ხელშეწყობის პროგრამა ამ ბრძანების დანართის შესაბამისად.
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 09 ივლისის N382 ბრძანება „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ხელშეწყობის პროგრამის დამტკიცების შესახებ“.
3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6.)

თამარ ხანიკიძე

დამტკიცებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის
2013 წლის 11.05 № 87L ბრძანებით

# ზამთრის სკოლების დაფინანსების ქვეპროგრამა
(შემდგომში - ქვეპროგრამა)
(პროგრამული კოდი: 32 04 01)

მუხლი 1. ქვეპროგრამის მიზანი

ქვეპროგრამის მიზანია საქართველოში ავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში (შემდგომში - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება):

- საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა შემდეგი დარგების - მათემატიკის, ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის;
- სამართლის დარგების;
- ჰუმანიტარულ მეცნიერებათა;
- სოციალურ მეცნიერებათა

განვითარების მიზნებისათვის საქართველოში ზამთრის სკოლების ორგანიზება და განხორციელება (შემდგომში - ზამთრის სკოლები).

მუხლი 2. ქვეპროგრამის ბიუჯეტი

| პროგრამული კოდი | დასახელება | სულ წლიური | IV კვარტალი |
|---|---|---|---|
| 32 04 01 | ზამთრის სკოლები | 300,000.0 | 300,000.0 |
| | ხარჯები | 300,000.0 | 300,000.0 |
| | სუბსიდიები | 300,000.0 | 300,000.0 |

მუხლი 3. ტერმინთა განმარტება

ამ დანართის მიზნებისათვის გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) მონიტორინგი – ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულების კონტროლის პროცედურა;

ბ) პროექტი – ზამთრის სკოლების განხორციელებისათვის საჭირო დაფინანსების მოპოვების მიზნით, ამ დანართის მე-2 მუხლით გათვალისწინებულ ყოველ ცალკეულ დარგში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში წარდგენილი პროექტი მეცნიერულად აქტუალურ და რელევანტურ თემაზე.

გ) პროექტის მთლიანი დაფინანსება – ამ დანართით განსაზღვრული დაფინანსების ოდენობა.

დ) პროექტის შეფასების კრიტერიუმები – პროექტების შესაფასებლად ამ დანართით განსაზღვრული სახელმძღვანელო პრინციპები ქულების სათანადო მითითებით;

თ) კონკურსი – ამ დანართით გათვალისწინებული დაფინანსების მოსაპოვებლად საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ადმინისტრირებული პროცედურა;

ი) ხელშეკრულება – კონკურსის საფუძველზე დაფინანსების მიმღებ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შორის გაფორმებული ხელშეკრულება.

მუხლი 4. ქვეპროგრამის განხორციელება

1. ქვეპროგრამის ფარგლებში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება დაფინანსებას მოიპოვებს ღია კონკურსის წესით, რომელსაც აცხადებს და წარმართავს საქართველოს

განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო (შემდგომში - სამინისტრო) ამ დანართით გათვალისწინებული პროცედურების მიხედვით.

2. სამინისტრო უზრუნველყოფს:

ა) კონკურსისა და პროექტების მიღების ვადების საჯაროდ გამოცხადებას სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნების გზით;

გ) საკონკურსო კომისიის შექმნას, რომელიც ამ წესით დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად შეაფასებს წარმოდგენილ პროექტებს და გამოავლენს გამარჯვებულ პროექტებს;

დ) საკონკურსო კომისიის მიერ დასაფინანსებლად შერჩეული პროექტების წარმდგენ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ხელშეკრულების გაფორმებას;

ე) კონკურსში გამარჯვებული უამაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების დაფინანსებას ხელშეკრულების საფუძველზე;

ვ) ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულების მონიტორინგს.

3. კონკურსის გამოცხადების შესახებ ინფორმაცია ქვეყნდება სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე, პროექტების რეგისტრაციის დაწყებიდან არანაკლებ 3 სამუშაო დღით ადრე.

4. პროექტების რეგისტრაცია წარმოებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში, პროექტების რეგისტრაციის დაწყებიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

5. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროექტი უნდა შეიცავდეს ინფორმაციას შემდეგი პირობების შესახებ:

ა) პროექტის წარმდგენი და ავტორი;

ბ) პროექტის მიზანი;

გ) პროექტის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები;

დ) პროექტის მონაწილე აკადემიური პერსონალი;

ე) პროექტის სამიზნე ჯგუფი და ბენეფიციარები;

ვ) პროექტის ორგანიზატორული უზრუნველყოფა;

ზ) პროექტის ფინანსური უზრუნველყოფა (თანდართული ხარჯთაღრიცხვით);

თ) საზაფხულო სკოლის პროექტის ხანგრძლივობა.

6. ზამთრის სკოლები განხორციელდება 2013-2014 სასწავლო წელს.

**მუხლი 5. კონკურსში მონაწილეობა და კონკურსის პირობები**

1. კონკურსში მონაწილეობისა და დაფინანსების მისაღებად აუცილებელია უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას ამ დანართის მე-2 მუხლით გათვალისწინებულ დარგში/დარგებში გააჩნდეს აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო ქვეპროგრამა/ქვეპროგრამები.

2. პროექტი უნდა ითვალისწინებდეს არანაკლებ ორი უცხოელი პროფესორის (დასავლეთ ევროპელი ან ჩრდილოამერიკელი) მონაწილეობას.

3. პროექტის განხორციელების ვადა არ უნდა აღემატებოდეს 10 კალენდარულ დღეს.

4. პროექტის მთლიანი დაფინანსება არ უნდა აღემატებოდეს 50 000 (ორმოცდაათი ათასი) ლარს.

5. პროექტების წარდგენა სამინისტროში ხორციელდება ამ დანართით გათვალისწინებული მოთხოვნებისა და ვადების დაცვით, რომლის გასვლის შემდეგ სამინისტროში შეტანილი პროექტები კომისიის მიერ არ განიხილება.

**მუხლი 6. ბენეფიციარები**

1. ზამთრის სკოლების ბენეფიციარები არიან უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტები.

2. ამ დანართის მე-2 მუხლით გათვალისწინებულ დარგში ზამთრის სკოლაში მონაწილე სტუდენტებს შეარჩევს შესაბამის კონკურსში გამარჯვებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, პროექტის მთლიანი დაფინანსების ოდენობის მიხედვით.

3. ზამთრის სკოლებში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და სტუდენტების ჩართულობის გაზრდის მიზნით პროექტში მონაწილე სტუდენტები შეირჩევა შემდეგი პირობების დაცვით:

ა) კონკურსში გამარჯვებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტთა მაქსიმალური რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს პროექტით გათვალისწინებულ სტუდენტთა საერთო რაოდენობის 50%-ს;

ბ) პროექტით გათვალისწინებულ სტუდენტთა საერთო რაოდენობის ფარგლებში, სტუდენტთა 50%-ს კონკურსში გამარჯვებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება შეარჩევს საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მოქმედი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან.

მუხლი 7. დაფინანსება

1. პროექტის ფარგლებში დაფინანსდება:

ა) პროექტის ორგანიზატორთა ან/და დამხმარე პერსონალის შრომის ანაზღაურება;

ბ) ზამთრის სკოლების ბენეფიციარებისა და პროექტით გათვალისწინებულ სხვა მონაწილეთა სასტუმროს ხარჯი;

გ) ზამთრის სკოლების ბენეფიციარებისა და პროექტით გათვალისწინებულ სხვა მონაწილეთა ტრანსპორტირების ხარჯი;

დ) ზამთრის სკოლების ბენეფიციარებისა და პროექტით გათვალისწინებულ სხვა მონაწილეთა კვების ხარჯი;

ე) პროექტის განხორციელებისათვის საჭირო ტექნიკური საშუალების შესყიდვის ან/და დაქირავების ხარჯი;

ვ) პროექტის განხორციელებისათვის საჭირო დარბაზ(ებ)ის დაქირავების ხარჯი;

ზ) სხვა საქონლისა და მომსახურების (საკანცელარიო და სხვ.) ხარჯი.

2. კონკურსში გამარჯვებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას შეიძლება ავანსის სახით გადაერიცხოს პროექტით გათვალისწინებული ბიუჯეტის ნაწილი (პროექტის მთლიან დაფინანსებას გამოკლებული პროექტის ორგანიზატორთა/დამხმარე პერსონალის შრომის ანაზღაურება). საბოლოო ანგარიშსწორება მოხდება პირველადი დოკუმენტაციის თანხლებით ფინანსური და პროგრამული ანგარიშების სამინისტროში წარდგენის შემდეგ.

მუხლი 8. საკონკურსო კომისია

1. საკონკურსო კომისია იქმნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით.

2. საკონკურსო კომისია, პროექტების რეგისტრაციის დასრულებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში განიხილავს პროექტებს, ახდენს მათ შეფასებასა და კონკურსში გამარჯვებული პროექტების საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისათვის წარდგენას.

3. სამინისტრომ, საჭიროების შემთხვევაში, საკონკურსო კომისიაში შეიძლება მოიწვიოს ექსპერტი სათათბირო ხმის უფლებით.

4. არ შეიძლება პროექტების შერჩევასა და დასაფინანსებელი პროექტების გამოვლენის პროცესში მონაწილეობდეს პირი რომელმაც შესაძლოა უშუალოდ მიიღოს პროფესიული, ფინანსური ან პირადი სარგებელი პროექტის დაფინანსების ან არდაფინანსების შემთხვევაში.

5. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული პირი ვალდებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრს ოფიციალურად აცნობოს ამ მუხლში აღნიშნული გარემოებისა და თვითაცილების შესახებ.

6. იმ შემთხვევაში, თუ ინფორმაცია კომისიის წევრის ინტერესთა კონფლიქტის შესახებ საკონკურსო კომისიისათვის ცნობილი გახდება დასაფინანსებლად შერჩეული პროექტების დამტკიცებამდე, საკონკურსო კომისია უფლებამოსილია იმსჯელოს კომისიის წევრის მიერ გაკეთებული შეფასების გაუქმების შესახებ.

7. საკონკურსო კომისიის მუშაობის ტექნიკურ უზრუნველყოფას ახორციელებს სამინისტროს უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების განვითარების დეპარტამენტი.

მუხლი 9. პროექტის შეფასების კრიტერიუმები

| № | კრიტერიუმების დასახელება | შეფასება | | | კომენტარები |
|---|---|---|---|---|---|
| | | სუსტი | საშუალო | კარგი | |
| 1. | ზამთრის სკოლის მიზანი და ამოცანები | 0-6 | 7-11 | 12-14 | |
| 2. | მეცნიერული და/ან აკადემიური მნიშვნელობა | 0-9 | 10-17 | 19-24 | |
| 3. | მოსალოდნელი შედეგები, მათი მიღწევისა და შეფასების მექანიზმები | 0-7 | 8-15 | 16-21 | |
| 4. | შემოთავაზებული დროისა და ბიუჯეტის ფარგლებში პროექტის განხორციელების რეალურობა | 0-5 | 6-9 | 10-11 | |
| 5. | არსებული და მოთხოვნილი მატერიალურ-ტექნიკური რესურსების გამოყენების რეალურობა | 0-6 | 7-11 | 12-13 | |
| 6. | პროექტის ძირითადი შემსრულებლების შესაბამისობა პროექტის მიზნისა და ამოცანების განხორციელებასთან | 0-7 | 8-13 | 14-17 | |
| სულ | | **100** | | | |

თანაბარქულიანი პროექტებს შორის უპირატესობა მიენიჭება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ ერთობლივად წარმოდგენილ პროექტს.

**მუხლი 10. ხელშეკრულების გაფორმება**

პროექტის დაფინანსება განხორციელდება ხელშეკრულების საფუძველზე, რომლითაც განისაზღვრება თანხის გადარიცხვის ვადები და ოდენობები.

**მუხლი 11. მონიტორინგი**

1. სამინისტრო ახორციელებს მონიტორინგს, რომელიც მოიცავს ფინანსურ და პროგრამულ მონიტორინგს.

2. დაფინანსების მიმღებმა უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ ზამთრის სკოლის მუშაობის დასრულების შემდეგ სამინისტროს უნდა წარუდგინოს ჩატარებული ღონისძიების (ხელმოწერილი და ბეჭედდასმული) ტექნიკური ანგარიში, რომელიც შედგება ფინანსური და პროგრამული ნაწილისაგან.

3. ფინანსურ ანგარიშში დეტალურად გაწერილი უნდა იყოს შესრულებული სამუშაოს ხარჯთაღრიცხვა.

4. პროგრამული ანგარიში უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

ა) ზამთრის სკოლის თემატიკას;

ბ) ზამთრის სკოლის მუშაობის ხანგრძლივობას;

დ) პროექტის განხორციელების ადგილს;

ე) მონაწილე სტუდენტთა რაოდენობას;

ვ) ზამთრის სკოლის მუშაობის ფარგლებში ჩატარებულ ღონისძიებებს;

ზ) ამასთანავე, პროგრამულ ანგარიშს უნდა ერთვოდეს ზამთრის სკოლის ქვეპროგრამა და ვიზუალური მასალა (ფოტო, ვიდეო, DVD). ყველა ეს ინფორმაცია ჩაწერილი უნდა იყოს კომპაქტდისკზე (CD).

5. დაფინანსების მიმღები უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროგრამული ანგარიში, ბეჭდვითი ან/და ვიზუალური მასალა შესაძლებელია სამინისტრომ გამოიყენოს თავის ვებგვერდზე განთავსების, საქმიანობის ანგარიშში ჩართვის, სხვა ბეჭდვით ან ელექტრონულ პროდუქციაში გამოყენების მიზნით.